

საბაზრო ეკონომიკა და სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა

DOI:10.36962/ECS107/1-2/2025-28

რევაზ ასათიანი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი (ნამდვილი წევრი)

გურამ როგავა

იურისტი, ეკონომისტი, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი,
ecoindivd@hotmail.com

ელიზაბედ ღაძაძე

სტაჟიორი

რეზიუმე

თანამედროვე საბაზრო სისტემა წარმოადგენს „შერეულ ეკონომიკას“, სადაც კერძო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ახორციელებენ ეკონომიკურ კონტროლს. კერძო სისტემა-უხილავი წარმართველი საბაზრო მექანიზმებით, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუციები-ადმინისტრაციული რეგულირებით და საგადასახადო სტიმულებით. საბაზრო მექანიზმი განსაზღვრავს ფასებსა და წარმოებას მრავალ სფეროში, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი (ეფექტიანობა, სამართლიანობა, სტაბილურობა, გარემოს კონტროლი) უზრუნველყოფს და აწესრიგებს ბაზარს დაბეგვრის, ხარჯების და ა.შ. რეგულირების საშუალებით. ორივე მხარე – ბაზარი და სახელმწიფო – არსებითია, ეკონომიკის წარმართვა ერთის ან მეორის გარეშე იგივეა, რაც ტაშის დაკვრა ერთი ხელით (**პ. სამუელსონი, ე. ნორდჰაუსი**). ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საჭიროება თვით საბაზრო სისტემის ნაკლოვანებებმა განაპირობა. ამის გამო დღეს მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც ეკონომიკა სახელმწიფოს მიერ რაიმე დოზით და ფორმით არ რეგულირდებოდეს.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ეკონომიკა, სახელმწიფო რეგულირება, სახელმწიფო მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობა, კვოტირების სისტემა, ფასების პარიტეტი, ტარიფები, სასურსათო ბაზარი.

შესავალი

სახელმწიფო მხარდაჭერა და რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, აგრარულ სფეროს სჭირდება. ამას ის სპეციფიკური თავისებურებები განაპირობებს, რითაც ეკონომიკის ეს სექტორი განსხვავდება ეკონომიკის მეორეული (ინდუსტრია) და მესამეული (მომსახურების სფერო) სექტორებისაგან. სპეციფიკურ თავისებურებებთან ერთად, აგრარული სექტორის დიდი მნიშვნელობა არის ის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რის გამოც მსოფლიოს ყველა ქვეყანა მის მიმართ სხვადასხვა მარეგულირებელ ღონისძიებებს ახორციელებს.

ძირითადი ტექსტი

აგრარული სექტორიდან ფერმერებისა და მათი ოჯახის წევრების არასასოფლო სექტორში სამუშაოდ გადასვლის ტენდენცია აიძულებს თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო, სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარების პოლიტიკა, ანუ ერთმანეთთან ჰარმონიზირებულ იქნეს სოციალური

და ყოფითი პრობლემები და მათი კომპლექსურად გადაჭრა. ეს უზრუნველყოფს ფერმერთა და მათი ოჯახის წევრთა ადგილზე დასაქმებას, როგორც ფერმაში, ისე ახლად შექმნილ სამუშაო ადგილებზე. სოფლის ხელოვნური თუ ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებას.

მარეგულირებელი პოლიტიკის განხორციელებით სახელმწიფო ისწრაფვის მიაღწიოს აგროპროდუქციისა და ნედლეულის მწარმოებელთა შემოსავლების ისეთ დონეს, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს მათი ცხოვრების მისაღებ პირობებს და პროდუქციის გაფართოებულ აღწარმოებას.

აუცილებლად უნდა ითქვას იმ ობიექტური ფაქტორების შესახებ, რომელიც აუცილებელს ხდის სახელმწიფოს ჩარევას სასურსათო ბაზრის სისტემაში. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა სურსათზე შედარებით დაბალ ელასტიკურია. სურსათზე ფასების მომატებისას მოსახლეობა მაინც სტაბილურად მოიხმარს კვების აუცილებელ პროდუქტებს მათზე ფიზიოლოგიური მოთხოვნის გამო (თუმცა მოიხმარს მას, რისი შეძენის უნარიც გააჩნია. მაგალითად, ყველაზე იაფ და აუცილებელ პროდუქტს – პურს), ამასთან, მოსახლეობას კიდევაც რომ გაეზარდოს შემოსავლები ან სურსათზე ფასები დაეცეს, მოთხოვნა ადეკვატურად არ გაიზრდება, რადგან აქ, გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, მოქმედებს ფსიქოლოგიური და ბუნებრივ-ფიზიოლოგიური ფაქტორიც, რომელიც არსებითად ზღუდავს მოხმარებას.

ამის საპირისპიროდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო სამრეწველო პროდუქციას (საწვავი, კომბინირებული საკვები, მინერალური სასუქები და ა.შ.) მაღალი ელასტიკურობა აქვს. ასეთ ვითარებაში ფასს, როგორც მოთხოვნა-მიწოდების რეგულატორს, არ შეუძლია თავისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის შესრულება. საჭიროა ეგზოგენური ფაქტორი სახელმწიფოს სახით, რომელმაც თავისი ჩარევით უნდა გამოიწვიოს ფასების მერყეობა და დისპარიტეტი, ანუ არ დაუშვას არც მომხმარებლის და არც მწარმოებლის ინტერესების შელახვა.

სახელმწიფოს ხელში არსებული ეკონომიკის რეგულირების ბერკეტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ადმინისტრაციულად და ეკონომიკურად. პირველში ერთიანდება ის ბერკეტები, რომლებიც დაფუძნებულია ამა თუ იმ საქმიანობის აკრძალვაზე, ნებართვის გაცემასა და იძულებაზე. მეორე მოქმედებს მაშინ, როცა სახელმწიფო სათანადო ლიცენზიით ნებას რთავს ან კრძალავს საქმიანობას ამა თუ იმ სფეროში (მაგალითად, სათამაშო ბიზნესი, თევზჭერა და ა.შ.).

სახელმწიფო რეგულირების ობიექტი შეიძლება იყოს სექტორული ეკონომიკის ნებისმიერი დარგი, მათ შორის სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რიგი თავისებურებების გათვალისწინებით, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები გამოიყენება დარგის მხარდასაჭერად (მატერიალური თვალსაზრისით) და დასაცავად (არაკეთილსინდისიერი კონკურენტისგან). კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქტი არსებითად განსხვავდება მატერიალური წარმოების სხვა დარგებში წარმოებული პროდუქტისაგან. მხედველობაშია არა უბრალოდ სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო წარმოშობის პროდუქტთა სხვადასხვაგვარი სახმარი და საცვლელი ღირებულება, არამედ ამ ღირებულებების მიმართ მომხმარებლის განსხვავებული, სპეციფიკური დამოკიდებულება. მრავალგზის დამტკიცებულია, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა სოფლის მეურნეობის (სასურსათო) პროდუქციაზე მნიშვნელოვნად დაბალ ელასტიკურია. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო სამრეწველო წარმოშობის პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაცილებით მაღალ ელასტიკურია. ამ მდგომარეობას ობიექტურად მივყავართ სოფლის მეურნეობის და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის გარდუვალ დარღვევასთან. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ძნელად თუ მოინახება ისეთი პერიოდი, როცა ფასების პარიტეტი სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ იცვლებოდა. პირიქით, გრძელვადიან დინამიკაში, როგორც წესი, ფასების პარიტეტი ყოველთვის სხვა დარგების სასარგებლოდ ყალიბდებოდა.

ჩამოთვლილი ღონისძიებები ხორციელდება სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მიწოდების გადიდებისათვის. ამასთან ერთად, ტარდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნას ასტიმულირებს. კერძოდ, უფასო სახელმწიფო, ან არასახელმწიფო კვების ობი-

ექტების გახსნა, ბავშვთა უფასო კვება სკოლებში და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, მიზნობრივი ნიშნის მიხედვით, შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

- საკომპენსაციო დანახარჯები, ანუ საწარმოო ფაქტორების (მინერალური სასუქების, საწვავ-საცხები მასალების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის და ა.შ.) შეძენასთან დაკავშირებული ფულადი ხარჯების კომპენსირება (სრული ან ნაწილობრივი);

- პრიორიტეტულ მიმართულებებზე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დამუშავება, დაფინანსება და განხორციელება;

- საექსპორტო და საიმპორტო ტარიფების რეგულირებით შიდა სასურსათო ბაზარზე ფასების სტაბილურობის შენარჩუნება;

- სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალის, აგრეთვე წარმოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაცია;

- საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კულტურის, განათლების და სხვა სამსახურების განვითარება).

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა. მათ შორის:

- საქონელმწარმოებლები ძირითადად უნდა საქმიანობდნენ თვითდაფინანსების პრინციპით, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა გამოიყენებოდეს დამატებითი, წარმოების ნორმალური ეკონომიკური პირობების უზრუნველსაყოფად;

- საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერისათვის გამოყენებული სუბსიდიები, სუბვენციები, დოტაციები და სხვა მარეგულირებელი ბერკეტები უნდა ასტიმულირებდეს მეურნეობრიობის უფრო მაღალ ეფექტიანობას;

- მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს დიფერენცირებულად, თითოეული საწარმოს კონკრეტული ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით და უნდა ატარებდეს მკაცრად მიზნობრივ-პროგრამულ ხასიათს.

სახელმწიფო რეგულირების სისტემაში ახალი ელემენტების დანერგვა ინსტიტუციური საფუძვლების შექმნის საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ ქმნის ეკონომიკურ პირობებს იმ წინააღმდეგობათა გადალახვისათვის, რაც აფერხებს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციას მრავალფეროვანი საწარმოო და საფინანსო ურთიერთობების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე გავლენას ახდენს რიგი ნეგატიური ფაქტორები, რაც უმთავრესად ძირითადი პრინციპების დარღვევასთან არის დაკავშირებული და ქმნის მეთოდოლოგიურ სირთულეებს. ამიტომ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის წარმატებული გამოცდილების გაზიარება იძლევა საკმარის მასალას მათი სამეცნიერო და პრაქტიკული განვითარებისათვის. არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარება სახელმწიფო რეგულირებისა და გარდაქმნების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამ კუთხით ადექვატური ქმედითი ღონისძიებების გატარებისა და წარმატებული ეკონომიკის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარებისაგან, აუცილებლად შექმნის სერიოზულ პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული მასშტაბური ღონისძიებების ეფექტურობაზე და დაგეგმილ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე. ერთ-ერთ ასეთ მექანიზმს წარმოადგენს სახელმწიფო საგარანტიო მექანიზმის შექმნა და მისი ეფექტიანი მართვა.

მიმდინარე პერიოდის ქართული ეკონომიკური რეალობისათვის, აგრარულ სექტორზე სახელმწიფო საგარანტიო მექანიზმის ეფექტიანი მართვის კუთხით, საინტერესოა უკრაინის გამოცდილება. ზემოაღნიშნული ფორმით ძირითადი საშუალებების შესყიდვის კარგ მაგალითს წარმოადგენს უკრაინის სახელმწიფო სალიზინგო კომპანია „უკრაგროლიზინგის“ ურთიერთობა

„კანადის საექსპორტო სააგენტოსთან“, რომლის ფარგლებში „უკრაგროლიზინგმა“ სახელმწიფო გარანტიით, მარტო 2009 წელს „კანადის საექსპორტო სააგენტოდან“ მოიზიდა 600 მლნ აშშ დოლარი.

2009 წელს უკრაინის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით „უკრაგროლიზინგს“ ორი კრედიტის მოზიდვის ნება დაერთო სახელმწიფო გარანტიით, თითოეული 300 მლნ აშშ დოლარის მოცულობით „კანადის საექსპორტო სააგენტოდან“. ამ დადგენილების საფუძველზე 2009 წლის სექტემბერში „უკრაგროლიზინგი“ აფორმებს კონტრაქტს ორ კანადურ კომპანიასთან 600 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ტექნიკური საშუალებების გადაცემაზე, სახელმწიფო გარანტიით უზრუნველყოფილი „კანადის საექსპორტო სააგენტოს“ მიერ გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში. კრედიტის მომსახურების ფინანსურ აგენტად შეირჩა უკრაინის სახელმწიფო ექსპორტ-იმპორტის ბანკი („ექსიმ-ბანკი“) რომელიც მოქმედებს უკრაინის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის სახელით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, უკრაინელმა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლებმა ფინანსური ლიზინგის პირობებით შეძლეს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა, რაც შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის სექტორში საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნით სესხის გაცემის შესახებ, სს „უკრაგროლიზინგის“ მიერ კანადურ კომპანია „SNC-Lavalin Inc.-თან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

რეგიონებში „უკრაგროლიზინგის“ ფილიალების ხელმძღვანელებმა და საკონკურსო კომისიის წევრებმა დეტალურად შეისწავლეს აღჭურვილობის მიღების პოტენციური კანდიდატურები მათი სანდოობის და გადახდისუნარიანობის კუთხით. ამ კრიტერიუმებით შეფასების შედეგად დადგინდა, რომ მიღებული აღჭურვილობის ძირითადი ნაწილი უნდა გადაცემოდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურების კოოპერატივებს, რადგან ინვესტიციების დაცულობის კუთხით, სხვა სამეწარმეო ფორმებისაგან განსხვავებით, კოოპერატივების შიდა სანარმოო ურთიერთობები, კოოპერატივის ფარგლებში ერთიანი სანარმოო ციკლის შექმნა და დემოკრატიული ეკონომიკური თვითმმართველობა (თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი) პრინციპით „ქვევიდან ზევით“, წარმოადგენს სამეწარმეო რისკების მინიმუმამდე დაყვანის და მდგრადი სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს.

თითოეული ქვეყანა აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერისა და რეგულირებისათვის იყენებს იმ მეთოდსა და საშუალებას, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას აგროსასურსათო სექტორის პერიოდში გააჩნია კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. ზოგიერთი მათგანისათვის ეს სახელმწიფო ბიუჯეტი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა, ზოგიერთისათვის – ადმინისტრაციული და ა.შ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდაჭერის ღონისძიებების ნაწილი გადასახადის გადამხდელთა (სახელმწიფო ბიუჯეტი), ნაწილი კი მომხმარებლების ხარჯზე ხორციელდება.

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის რაოდენობისა და ხარისხის გასაზომად სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მხარდაჭერა უნდა გაიზომოს აგროსასურსათო სექტორის მიმართ სახელმწიფოს მიერ გაწეული ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით, მაგრამ ზოგს მიაჩნია, რომ აღნიშნული სექტორისათვის ბიუჯეტიდან გაწეული სოლიდური დახმარება არ ნიშნავს პროდუქციის მწარმოებლებისათვის რეალურ დახმარებას, თუ იმავდროულად სახელმწიფო აწესებს აკრძალვებს ან შეზღუდვებს ქვეყნის გარეთ პროდუქციის გატანაზე, ანუ ექსპორტზე. ამ შემთხვევაში შესაძლოა უკუეფექტის მიღებაც, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების წყალობით, მართალია გაიზრდება წარმოება, მაგრამ მხოლოდ შიდა ბაზარზე მისი მიწოდება გამოიწვევს პროდუქციაზე ფასების დაწევას და მწარმოებლებისათვის ერთობლივი მოგების შემცირებას. არის სხვა, საპირისპირო შემთხვევებიც. შესაძლოა, ქვეყანა საერთოდ არ ეხმარება მწარმოებელს, მაგრამ აწესებს მაღალ საიმპორტო ტარიფებს. ამ შემთხვევაში შედეგი პრაქტიკულად იგივე იქნება იმ განსხვავებით, რომ პროდუქციაზე ფასების გადიდების გამო, და-

ზარალეულ მხარედ მომხმარებელი მოგვევლინება, რაც მოსალოდნელია მწარმოებლებისგან არაკონკურენტულ გარემოში.

ამდენად, სახელმწიფოს მიერ აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერის რაოდენობრივი აღრიცხვისა და ეფექტიანობის შეფასებისათვის საჭიროა არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობათა დადგენა, არამედ ყველა სხვა ღონისძიების ეკონომიკური შეფასება, რომლებიც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დაცვას უკავშირდება. ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის ამა თუ იმ ღონისძიების შერჩევის დროს, უპირველეს ყოვლისა, ანალიზებენ ქვეყნის შიდა და გარე ბაზრებზე მსგავს პროდუქციასზე არსებულ ფასებს.

კერძოდ, ადგილობრივი ფასების სიდიდის ობიექტურობის დასადგენად მას, როგორც წესი, მსოფლიო ფასებს უდარებენ და იმის მიხედვით, თუ როგორია შეფარდება მათ შორის, აკეთებენ დასკვნას. კერძოდ, თუ ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასისა და მსოფლიო ფასის შეფარდება ერთზე მეტია, მაშინ ადგილობრივი მწარმოებელი იღებს უფრო მაღალ შემოსავალს თავისი პროდუქციიდან, ანუ წარმოების სუბსიდირებას არ აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში მომხმარებელი იძულებულია გადაიხადოს მაღალი ფასი, ანუ ადგილი აქვს მის დაბეგვრას გადასახადით. საპირისპირო მდგომარეობის დროს, ანუ როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ერთზე ნაკლებია, თავად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელია დაბეგრილი, მომხმარებელი კი სუბსიდირებული. რაც შეეხება მესამე შემთხვევას, ანუ როცა ადგილობრივ და მსოფლიო ფასს შორის შეფარდება ერთის ტოლია, იგი უჩვენებს, რომ სახელმწიფო ახორციელებს ნეიტრალურ პოლიტიკას. რაც მეტადაა შეფარდების მაჩვენებელი გადახრილი ერთიდან, მით მაღალია სახელმწიფოს მონაწილეობა ცალკეული პროდუქტის, თუ დარგის მხარდაჭერასა და რეგულირებაში. წარმოების ნომინალური სახელმწიფოებრივი ფინანსური მხარდაჭერის კოეფიციენტი (CNS) წარმოადგენს რაოდენობრივი შეფასების სპეციალურ ფორმას, რის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მსოფლიო სასურსათო ბაზრისაგან ამა თუ იმ ქვეყნის იზოლაციის ხარისხის შესახებ. კერძოდ, რაც უფრო მაღალია კოეფიციენტი, მით მეტია იზოლაციის ხარისხი.

აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის ზომა და ხარისხი სხვადასხვაგვარია მსოფლიოს ქვეყნებში. ცალკეული ქვეყნები გამოირჩევა ამ მიმართულებით ლიბერალური პოლიტიკის გატარებით (ანუ მწარმოებლებს უწევნენ მინიმალურ დახმარებას, მაგალითად, ახალ ზელანდიაში), ზოგი ქვეყანა კი მხარდაჭერის მეტად მაღალი დონით გამოირჩევა (მაგალითად, იაპონია), თუმცა ასეთი პოლიტიკა მუდმივი არაა და ის თითოეულ ქვეყანაში იცვლება შიდა თუ გარე ფაქტორების ზემოქმედებით.

აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერა დღევანდელ მსოფლიოში ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნის პრობლემა და საზრუნავი არაა, რამდენადაც, ის განსაზღვრავს სურსათის სიჭარბეს, ან დეფიციტს მსოფლიოში, სურსათის ფასებს, ქვეყნებს შორის სუბსიდიების ირიბი გადანაწილების ზომას (განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისაკენ) და ა.შ.

ამ საერთაშორისო პრობლემის დარეგულირებას მიეძღვნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ე.წ. „ურუგვაის რაუნდი“. ქვეყნებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეხვედრის დასკვნით დოკუმენტს, ივალდებულეს, არ გაზარდონ აგროსექტორისადმი მხარდაჭერის მოცულობა, პირიქით, შეამცირონ ის. ამ მხრივ განვითარებული ქვეყნებისათვის დაწესდა უფრო მკაცრი გრაფიკი, ვიდრე განვითარებადი ქვეყნებისათვის. განვითარებულ ქვეყნებს, დაწყებული 1995 წლიდან, 6 წლის განმავლობაში უნდა შეემცირებინათ აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერის მოცულობა 20 პროცენტით (თანხებით გამოხატული თანაბარი წილებით), ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი – 10 წლის განმავლობაში მხოლოდ 13 პროცენტით. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 2005 წლის „ჩინეთის სამმიტმა“ განვითარებად ქვეყნებში აგრარული სექტორისადმი მხარდაჭერის შეზღუდვის ვადა გააგრძელა 2013 წლამდე.

აგროსასურსათო სექტორისადმი მხარდაჭერა და სახელმწიფოებრივი რეგულირების საკი-

თხი უფრო მნიშვნელოვანი გახდება ნაკლებ განვითარებული ქვეყნებისათვის (სადაც სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე მეტად დაბალია და პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს) ახლო მომავალში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ სასურსათო რესურსების მარაგების უდიდესი ნაწილი მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაშია კონცენტრირებული.

სურსათის პრობლემა, ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დონეს და ხარისხს განსაზღვრავს, რის გამოც თანამედროვე მსოფლიოში აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის და რეგულირების პრობლემის გადანაცვება, სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოში სახელმწიფო მხარდაჭერის ობიექტი უნდა გახდეს მარცვლეულის მეურნეობა, ზეთოვანი კულტურების და სხვა დარგების განვითარება, რომლებიც იმპორტ ჩანაცვლებადი პროდუქტების წარმოების არსებითი გადიდების საშუალებას იძლევა. უნდა მოხდეს პრიორიტეტული ინვესტირება იმ დარგებისა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასურსათო უშიშროების მიღწევისათვის. ამავე მიზნით მხარდასაჭერია კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღების, ინტეგრირებული აგროსამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებათა შექმნა, რომელშიც გაერთიანდება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება, გადამამუშავება, მომსახურება და რეალიზაცია.

ზემოაღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად ქვეყანაში ფასებისა და საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს:

- სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ დარგებს შორის საქონლის (მომსახურების) ეკვივალენტური გაცვლების მისაღწევად (პარიტეტულ საწყისებზე);

- სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დასაცავად აგროსასურსათო კომპლექსის I (წარმოების საშუალებათა წარმოება) და III (გადამამუშავება-რეალიზაცია) სფეროს მონოპოლიური გავლენისაგან.

ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა, უნდა უზრუნველყოს სოფლად მენარმეთა შემოსავლების გაზრდა და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოება.

დასკვნა

სახელმწიფომ რეგულირების პოლიტიკის განხორციელებისას უნდა გამოიყენოს რეგულირების ორი ძირითადი ბერკეტი: ადმინისტრაციული და ეკონომიკური. პირველი ბერკეტი უნდა ეფუძნებოდეს ამა თუ იმ საქმიანობის აკრძალვას, ნებართვის გაცემასა და იძულებას; ხოლო მეორე ბერკეტი უნდა გამოიყენოს მაშინ, როცა იგი სათანადო ლიცენზიით ნებას რთავს ან კრძალავს საქმიანობას ამა თუ იმ სფეროში (მაგალითად, აგროსასურსათო წარმოება, სათამაშო ბიზნესი, თევზჭერა და ა.შ.). სხვადასხვა თავისებურებების გამო სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ეკონომიკური მხარდაჭერის ობიექტია. ასეთი მხარდაჭერისა და რეგულირებისათვის გამოიყენება წარმოების მოცულობათა კვოტირების სისტემა, მინის სავარგულების დროებითი გამოყვანა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, მწარმოებელთა პირდაპირი სუბსიდირება ფასების მეშვეობით, საგარეო ვაჭრობის რეგულირება (იმპორტზე ან ექსპორტზე ტარიფის აწევით ან დაწევით), სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების სუბსიდირება, სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელება, სასოფლო დასახლებებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., კოლუაშვილი პ. – საქართველოს სოფლის მეურნეობა – გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი, 2023 წ. (მონოგრაფია);
2. ასათიანი რ., კოლუაშვილი პ. - ინდუსტრიული სოფელი - მომავლის გლობალური გამოწვევა, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024 (მონოგრაფია)
3. ასათიანი რ. – სოფლისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი მოდერნიზაციის 5 მაკრო პრიორიტეტი. //საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“, N1-2, თბილისი, 2023 წ.;
4. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2020 წელს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. URL:[https://www.geostat.ge/media/41097/დემოგრაფიული ვითარება საქართველოში.pdf](https://www.geostat.ge/media/41097/დემოგრაფიული_ვითარება_საქართველოში.pdf). 2020 წ.;
5. ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა (ძირითადი პრინციპების გამოყენება, ათვისებული გაკვეთილების გაზიარება, გამოცდილების გაცვლა). ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემათა ოფისი. L-2985, ლუქსემბურგი;
6. ვანდა ბარანსკა, მარჩინ გრენდა, ანტონ ჰაიდაჩუკი და სხვ. – სახელმძღვანელო კონსულტანტებისათვის სოფლის მეურნეობაში. სტაროე პოლე, 2008 წ., 133 გვ.;
7. კოლუაშვილი პ., არჩვაძე ი. – „საქართველოს სოფლის მეურნეობა აქტუალური გამოწვევების წინაშე“, 2020 წ.;
8. კოლუაშვილი პ. – საქართველოს სასურსათო უშიშროება, რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2014 წ.;
9. კოლუაშვილი პ., ფანჩულიძე ჯ. – მიწის ადმინისტრირება და მიწათსარგებლობის მონიტორინგი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2023 წ.;
10. რევიშვილი ზურაბ – საქართველოს აგრარული პოლიტიკის მოდელისა და სტრატეგიის დადგენისა და განხორციელების საკითხები. პ. გუგუშვილის ეკონომიკისა და სამართლის სკი შრომათა კრებული, თბილისი, 2012 წ.;
11. ჩიტანავა ნ. – გლობალური პროცესები ერთპოლუსიან მსოფლიოში – საქართველოს ეკონომიკის როლი და უხილავი პრობლემები. თბილისი, 2021 წ., (მონოგრაფია).

REFERENCES:

1. Asatiani, R., Koguashvili, P. – Agriculture of Georgia: Challenges and Perspectives. Tbilisi, 2023. (Monograph)
2. Asatiani, R., Koguashvili, P. – The Industrial Village: A Global Challenge for the Future. Tbilisi, “Meridiani” Publishing, 2024. (Monograph)
3. Asatiani, R. – 5 Macro Priorities for the Rapid Modernization of Rural Areas and Agriculture. // International Scientific magazine “Kvali”, No. 1-2, Tbilisi, 2023.
4. Demographic Situation in Georgia in 2020. National Statistics Office of Georgia. URL: [https://www.geostat.ge/media/41097/დემოგრაფიული ვითარება საქართველოში.pdf](https://www.geostat.ge/media/41097/დემოგრაფიული_ვითარება_საქართველოში.pdf). 2020 წ.;
5. European Union Regional Policy (Application of key principles, sharing of lessons learned, exchange of experiences). European Union Publications Office. L-2985, Luxembourg.
6. Vanda Baranska, Marchin Grenda, Anton Haidachuk, etc. – “Handbook for Agricultural Consultants”. Staro Pole, 2008, 133 p.;
7. Koguashvili, P., Archvadze, I. - “Georgia’s agriculture facing actual challenges”, 2020;
8. Koguashvili, P. – Food Security in Georgia: Reality and Forecasts. Tbilisi, 2014.
9. Koguashvili, P., Panchulidze, J. – Land Administration and Land Use Monitoring. Publishing House “Technical University,” Tbilisi, 2023.
10. Revishvili Zurab – the Issues of establishing and implementing the Georgian agrarian policy model and Strategy. P. Gugushvili’s collection of works in economics and law, Tbilisi, 2012.
11. Chitanava, N. – Global processes in a unipolar world: Georgia’s economic role and invisible problems. Tbilisi, 2021. (Monograph)

MARKET ECONOMY AND THE NECESSITY OF STATE REGULATION

Revaz Asatiani

Academician (Full Member) of the Georgian
Academy of Agricultural Science

Guram Rogava

lawyer, economist, doctor of economic sciences
ecoindivid@hotmail.com

Elizabeth Ghadzadze

Intern

RESUME

The modern market system represents a “mixed economy,” where private and public institutions implement economic control. The private system operates through invisible market mechanisms, while state institutions use administrative regulation and tax incentives. The market mechanism determines prices and production across various sectors, while the regulatory role of the state (efficiency, legality, stability, environmental control) ensures and organizes the market through regulation, including taxation, costs, etc. Both sides – the market and the state – are essential; managing the economy without one or the other is like clapping with one hand (**P. Samuelson, E. Nordhaus**). The need for state regulation of the economy arises from the shortcomings of the market system itself.

Therefore, there is no country in the world today where the economy is not regulated by the state to some extent and in some form.

Keywords: market economy, state regulation, state support, agriculture, quota system, price parity, tariffs, food market.